ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01171283445**

გაცემის თარიღი: **08.05.2017**

განმცხადებელი (დაინტერესებული) პირი
შპს ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 202462708
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ლუბლიანას ქ., №2/6

თქვენი 07.03.2017 წლის #10/01170662057-18 წერილის პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, ნ. ბოხუას ქ. #21-ში (საკ/კოდ 01.10.13.010.080) კუთვნილ მიწის ნაკვეთში, კლინიკის მშენებლობის მიზნით მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვის ნებართვას გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 97-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით განხორციელდა ადმინისტრაციული წარმოება, შესწავლილი იქნა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, მათ შორის ააიპ ,,საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი"-ს მიერ საექსპერტო დასკვნაში (#02-25/49-02 07.03.2017) მითითებული მწვანე ნარგავების მდგომარეობა, რის შედეგადაც მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური გაძლევთ დაპირებას, რომ თანახმაა ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად გასცეს 3 ძირი თეთრი თუთის (დიამეტრებით 26, 40, 65სმ-#133,174,179) მოჭრაზე, ხოლო 3 ძირი თეთრი თუთის (დიამეტრი 4,0, 16,0, 15,0სმ-#2,128,155), 1 ძირი კაკლის (დიამეტრი 13,5სმ-#129), 1 ძირი კვიდოს (დიამეტრი 11,5სმ-#170), 1 ძირი ამერიკული ნეკერჩხალის (დიამეტრი 10,2სმ-#171) და 127 ძირი ვაზის გადარგვაზე ნებართვა, სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვის არსებობის შემთხვევაში.

ასევე გაცნობებთ, რომ ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს მე-3 თავის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების (39 ძირი) მოჭრა-გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ წერილობით ნებართვას არ საჭიროებს.

მესაკუთრე ვალდებულია ჭრის დაწყება აცნობოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს (ტელ: 595 30 40 34).

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური - სამსახურის უფროსი

გიორგი წერეთელი

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი"
№118/05
11.05.17